დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2025 წლის 8 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2025 წლის 7 მაისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ....4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.... 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.... 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.... 13

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 15

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 20

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	იგორ პანტიჩი, ბელგრადის უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, სერბეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე, შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ფანცულაია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაციისდა/ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მღვდელაძე, დოქტორანტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Physical Medicine and Rehabilitation
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0915 თერაპია და რეაბილიტაცია 0915.1.1 ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	არააკრედიტებული
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო - შემოქმედებითი ან / და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური / შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების / პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრის კვალიფიკაციას თერაპიის და რეაბილიტაციის (0915.1.1) სწავლის სფეროს შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე, მოიცავს 120 კრედიტს და ოთხ სემესტრს. პროგრამის სპეციალობის სავალდებულო ძირითადი საგნებისთვის განსაზღვრულია 82 კრედიტი, არჩევითი საგნებისთვის 8 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკისთვის 15 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომისთვის 15 კრედიტი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს ბაკალავრის ხარისხს, ერთიანი სამაგისტრო და შიდა გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და ინგლისური ენის ცოდნას. პროგრამას ახორციელებს 19 აკადემიური და მოწვეული პერსონალი (რომელთაგანაც 7 ფლობს დარგში დოქტორის ხარისხს). პროგრამა ორიენტირებულია თეორიულ სწავლებაზე, პრაქტიკული უნარების განვითარებასა და სამეცნიერო კვლევითი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე, რაც მიზნად ისახავს ეროვნული ჯანდაცვის პრიორიტეტების და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა მოქმედი ეროვნული აკრედიტაციის პროცედურების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროგრამის კოორდინატორებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ძირითადი დოკუმენტები, მათ შორის თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის სილაბუსები, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პრაქტიკული მომზადების და მატერიალური რესურსების მტკიცებულებები. პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შეფასების მიზნით, ჯგუფმა დაათვალიერა ბიბლიოთეკა, სასწავლო და პრაქტიკის ობიექტები. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, დაწესებულების მზაობა, უზრუნველყოს პროგრამის უწყვეტი განვითარება და დაინტერესებული მხარეები ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.დაკვირვებების და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა საბოლოო მიგნებები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

"ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო პროგრამა მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები კარგად არის განსაზღვრული, შეესაბამება დაწესებულების მისიას, სტრატეგიულ მიზნებს და სფეროს. სწავლების მეთოდოლოგია, სტუდენტების შეფასების პროცედურები და საგანმანათლებლო პროცესის მოწყობა შეესაბამება პროგრამის დონეს და სწავლის შედეგებს. ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათ შორის კვალიფიციური აკადემიური პერსონალი და

ადეკვატური ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უნივერსიტეტს გააჩნია მოქმედი შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და პროგრამის სისტემატური მონიტორინგის და პერიოდული შეფასების მტკიცებულებები. შეფასების პროცესში გამოვლინდა რამოდენიმე გასაუმჯობესებელი მიმართულება, როგორიცაა დაშვების წინაპირობების დაზუსტება, საერთაშორისო თანამშრომლობის და პერსონალის განვითარების შესაძლებლობების გაფართოება. საერთო ჯამში, პროგრამას აქვს პოტენციალი მიაღწიოს დაგეგმილ აკადემიურ და პროფესიულ შედეგებს.

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.2

რეკომენდებულია, განხორციელდეს სწავლის შედეგების სისტემატური მონიტორინგი, სტუდენტებთან თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

კომპონენტი 1.3

რეკომენდებულია, შემუშავდეს რაოდენობრივი რუბრიკები სწავლის შედეგების შესაფასებლად, ობიექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ისეთი პროგრამებისთვისაც სადაც სტუდენტების მცირე რაოდენობა ირიცხება.

კომპონენტი 1.5

რეკომენდებულია, დაწესებულება ფლობდეს ინფორმაციას თანამედროვე ფიზიკური მედიცინის სფეროში არსებული უახლესი მიღწევების შესახებ, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის და რობოტიკის მიმართულებით.

კომპონენტი 2.1

რეკომენდებულია, პოტენციური სტუდენტებისთვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ბაკალავრის ხარისხის შესაბამისი სფეროების მითითებით.

კომპონენტი 2.3

რეკომენდებულია, ფაკულტეტის განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებისა და შეფასების სტრატეგიების მიმართულებით დამატებითი ტრენინგის შეთავაზებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

კომპონენტი 1.1
სასურველია, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროში უახლესი მიღწევების და ტენდენციების ასახვის მიზნით, რეგულარულად განახლდეს პროგრამის მიზნები.

სასურველია, სტუდენტების გამოცდილების გაფართოების მიზნით, გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა უცხოურ დაწესებულებებან ერთობლივი პროექტების შემუშავებით.

კომპონენტი 1.2
სასურველია, განხორციელდეს კურსდამთავრებულების მიზნობრივი გამოკითხვები რეალურ გარემოში შეძენილი კომპეტენციების გამოყენების შესაფასებლად.

კომპონენტი 1.3
სასურველია, დაწესებულებამ ჩაატაროს აკადემიური პერსონალის ტრენინგი სწავლის შედეგების მონაცემების ანალიზის და მათი გამოყენებით სასწავლო კურსების შინაარსის და განხორციელების კორექტირების შესახებ.

სასურველია, სწავლის შედეგების მიხედვით სტუდენტების პროგრესზე დაკვირვების მიზნით, გამოყენებული იქნეს ციფრული ინსტრუმენტები, როგორიცაა "დეშბორდი".

კომპონენტი 1.4
სასურველია, შემუშავდეს დარგთაშორისი მოდულები, რომლებიც ფიზიკურ რეაბილიტაციას გააერთიანებს საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან, სპორტულ მეცნიერებასთან და კლინიკურ მედიცინასთან.

სასურველია, სასწავლო კურსების სახელწოდებები და აღწერილობები დაკავშირებული იყოს საერთაშორისო ტერმინოლოგიასთან მსოფლიო აღიარების და სტუდენტების მობილობის მხარდაჭერის მიზნით.

კომპონენტი 1.5

სასურველია, პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყოს თანამედროვე შინაარსი, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი რეაბილიტაციაში და ჯანმრთელობის ციფრული მონიტორინგი.

კომპონენტი 4.1

სასურველია, გაუმჯობესდეს დოკუმენტაციის სტრუქტურული თანხვედრა (მაგალითად, ისეთი ტერმინების სტანდარტიზაცია როგორიცაა "პროგრამის ლიდერი" და "პროგრამის ხელმძღვანელი") და გრძელი სახელწოდებები მითითებული იყოს დანართებში.

სასურველია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის ახალი პერსონალის ადაპტაციის მექანიზმები, უწყვეტი პროფესიული მომზადება და შესრულების შეფასების შედეგებთან დაკავშირებული წახალისების სისტემები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

პროგრამში გამოვლინდა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, როგორიც არის პროფესიული პრაქტიკა ორმაგი აკადემიური და საველე ხელმძღვანელობით, რაც ზრდის კლინიკური და კვლევითი კომპეტენციების განვითარების ალბათობას. უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტების და პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობას შიდა დაფინანსების სქემების და საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების უზრუნველყოფით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) ციკლის სისტემატური გამოყენება უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას. გარდა ამისა, განმავითარებელი შეფასების მიზნით, აკადემიურ პერსონალს შორის კოლეგიალური დაკვირვების გამოყენება აჩვენებს დაწესებულების მზაობას გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

უსდ-მ წარმოადგინა ადეკვატური პასუხები და ეთანხმება დასკვნაში მოცემულ შეფასებებს. ექსპერტთა პანელი იზიარებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით.

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ ეხება

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო პროგრამის მიზნები კარგად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და მისიას. პროგრამის მიზნები პასუხობს ეროვნულ ჯანდაცვის პრიორიტეტებს და საზოგადოების საჭიროებებს და ორიენტირებულია კვალიფიციური პროფესიონალების მომზადებაზე, რომლებიც რეაბილიტაციის მიმართულებით დააკამყოფილებენ ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამა შექმნილია, რომ კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის გაერთიანებული ცოდნა, კლინიკური მსჯელობის უნარები და ეთიკური პასუხისმგებლობა. პროგრამა ითვალისწინებს დამოუკიდებელ კვლევას და პროფესიულ განვითარებას. პროგრამის მიზნები კონკრეტულია, მორგებულია დარგზე და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის დონეს. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგის, განათლების დონისა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას.

პროგრამის მიზნებში ასახულია დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და საერთაშორისო პარტნიორების მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ პროგრამა შემუშავდა საერთაშორისო უნივერსიტეტების (მაგალითად, ლიტვის სპორტის უნივერსიტეტი, ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტი) და ადგილობრივ პარტნიორების, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. შრომის ბაზრის ანალიზი და კლინიკურ პარტნიორებთან კონსულტაციები ზრდის ალბათობას, რომ პროგრამა პასუხობს რეაბილიტაციის სერვისების არსებულ და სამომავლო საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროში უახლესი მიღწევების და ტენდენციების ასახვის მიზნით, რეგულარულად განახლდეს პროგრამის მიზნები.
- სასურველია, სტუდენტების გამოცდილების გაფართოების მიზნით, გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა უცხოურ დაწესებულებებთან, ერთობლივი პროექტების შემუშავებით.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 **პროგრამის მიზნები**	■	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში განსაზღვრულია ათი ძირითადი სწავლის შედეგი, რომლებიც მოიცავენ თეორიულ ცოდნას (მაგალითად, პათოლოგიების და რეაბილიტაციის მეთოდების გაგება), პრაქტიკულ უნარებს (მაგალითად, ჯანმრთელობის შეფასება, რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და გამოყენება), კრიტიკულ და კლინიკურ მსჯელობას, სამეცნიერო კვლევით კომპეტენციებს, ეთიკურ და იურიდიულ პასუხისმგებლობას და ინტერდისციპლინურ გარემოში გუნდური მუშაობის უნარებს. სწავლის შედეგები სათანადოდ ასახავს უმაღლესი განათლების დონის სირთულეს, მიღწევადია, გაზომვადი და დარგის შესაფერისი. სწავლის შედეგები

შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და დეტალური სფეროს აღმწერს. სტუდენტის მიერ მისაღები თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შეესაბამება მაგისტრატურის განათლების დონეს. სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ცხრილი / რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის მიზნებთან სწავლის შედეგების შესაბამისობას. აღნიშნული განსაზღვრავს სწავლების თანმიმდევრულობას, რაც მოიცავს ძირითად და არჩევით საგნებს, პრაქტიკულ მომზადებას და კვლევით ნაშრომს. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასების და გადახედვის ეტაპზე, პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები აფასებდნენ სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში - დანართები 1.2.1 და 1.2.2;
- გასაუბრების შედეგები;

- გასაუბრებებიდან და ანგარიშებიდან მიღებული დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, განხორციელდეს სწავლის შედეგების სისტემატური მონიტორინგი, სტუდენტებთან თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, განხორციელდეს კურსდამთავრებულების მიზნობრივი გამოკითხვები რეალურ გარემოში შეძენილი კომპეტენციების გამოყენების შესაფასებლად.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	■	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. შეფასება მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. პირდაპირი შეფასება ხორციელდება

შერჩეულ საგნებში სტუდენტების მოსწრების საფუძველზე, ხოლო არაპირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირს.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება სტუდენტების შეფასებების, უკუკავშირის გამოკითხვების, კლინიკური პრაქტიკის შეფასებების და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფენსასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობას. რელევანტურობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამა შედარებულია ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ანალოგიურ სამაგისტრო პროგრამებთან და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. გარე დაინტერესებული მხარეების სისტემატური ჩართულობა, მათ შორის დამსაქმებლები, პარტნიორი კლინიკები, პროფესიული ასოციაციები და კურსდამთავრებულები, წარმოადგენს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ძირითად კომპონენტს. დაინტერესებული მხარეები ჩართულნი არიან სტრუქტურირებული კონსულტაციების, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის, სასწავლო გეგმის შეფასების კომიტეტებში მონაწილეობის და კლინიკური პრაქტიკის შემდგომი ფორმალური უკუკავშირის მექანიზმების მეშვეობით. შრომის ბაზრის საჭიროებებთან და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროგრამის ფარგლებში რეგულარულად ხორციელდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების ანალიზი, რომელიც შემდგომ გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების განახლების და გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი განსაზღვრავს სამიზნე ნიშნულს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ინდივიდუალური და საერთო მიღწევების მონიტორინგი. უნივერსიტეტი ატარებს პერიოდულ შეფასებებს, ყოველი აკადემიური წლის ბოლოს კურსის დასრულების შემდეგ, რაც ხელს უწყობს შუალედური შედეგების დადგენას. შეფასების მონაცემები განაპირობებს პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ, ლიტერატურის, სასწავლო აქტივობების და დაშვების მოთხოვნების მოდიფიცირებას. უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალურად შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა და დოკუმენტაცია (მაგალითად, ცხრილი N 4: "სწავლის შედეგების შეფასების გეგმა"), სადაც აღწერილია შესაფასებელი სწავლის შედეგები, შესაბამისი მეთოდები, ინსტრუმენტები და

ვადები. აღნიშნული მიდგომა მიუთითებს, რომ უსდ-ში არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები და პროგრამა ხორციელდება შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის კოორდინატორებთან და აკადემიურ პერსონალთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, შემუშავდეს რაოდენობრივი რუბრიკები სწავლის შედეგების შესაფასებლად, ობიექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ისეთი პროგრამებისთვისაც სადაც სტუდენტების მცირე რაოდენობა ირიცხება.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

სასურველია, დაწესებულებამ ჩაატაროს აკადემიური პერსონალის ტრენინგი სწავლის შედეგების მონაცემების ანალიზის და მათი გამოყენებით სასწავლო კურსების შინაარსის და განხორციელების კორექტირების შესახებ.

სასურველია, სწავლის შედეგების მიხედვით სტუდენტების პროგრესზე დაკვირვების მიზნით, გამოყენებული იქნეს ციფრული ინსტრუმენტები, როგორიცაა "დეშბორდი".

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	■	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო გეგმა ლოგიკურია, თანმიმდევრულია და აქვს მრავალფეროვანი შინაარსი. ის შემუშავებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს, მათ შორის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად. პროგრამა შემუშავდა ოთხფაზიანი მეთოდოლოგიის გამოყენებით: მომზადება, შიდა და გარე მონაცემების ანალიზი, პროგრამის დაგეგმვა და განხორციელების შეფასება. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: 82 კრედიტი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნები, 8 კრედიტი არჩევითი საგნები, 15 კრედიტი პრაქტიკული კომპონენტები და 15 კრედიტი კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი). სასწავლო გეგმა შეესაბამება პროგრამის მიზნებს და დაგეგმილ სწავლის შედეგებს და პასუხობს შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებს. რამდენიმე საგანში პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინება უზრუნველყოფს სტუდენტებში გამოყენებითი უნარების განვითარებას, რომლებიც შეესაბამება კლინიკურ და რეაბილიტაციის გარემო პირობებს. ინტერდისციპლინური მიდგომების გათვალისწინებით და სტუდენტების კონკრეტულ პროფესიულ ინტერესებზე მორგებული უნიკალური არჩევითი საგნების შეთავაზებით, პროგრამის შინაარსი მეტად ინდივიდუალურია. პროგრამა ასევე ითვალისწინებს უახლეს მეცნიერულ აღმოჩენებს და რეაბილიტაციის სფეროს თანამედროვე მიღწევებს, რაც სტუდენტებს აცნობს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკებს და ახალ ტექნოლოგიებს. დარგში ახალი კვლევების და საერთაშორისო მიღწევების საფუძველზე, აკადემიური პერსონალი რეგულარულად ანახლებს სასწავლო კურსების მასალებს. რეაბილიტაციის მეცნიერების გლობალური ბუნების გათვალისწინებით,

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია მოიცავს გლობალურ სტანდარტებს, თანამედროვე თერაპიულ მიდგომებს და საერთაშორისო შემთხვევების შესწავლას და ანალიზს. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობას, გაცვლებს და ნაშრომის თანახელმძღვანელობას, რაც ხელს უწყობს კომპეტენტური პროფესიონალების მომზადებას გლობალურ დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიშის ნაწილი 1.4;
- საგნების ინტეგრაციის და ცვლილებების დოკუმენტაცია;
- ვიზიტის ფარგლებში სასწავლო კურსების სტრუქტურის და თანმიმდევრულობის შესწავლა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შემუშავდეს დარგთაშორისი მოდულები, რომლებიც ფიზიკურ რეაბილიტაციას გააერთიანებს საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან, სპორტულ მეცნიერებასთან და კლინიკურ მედიცინასთან.
- სასურველია, სასწავლო კურსების სახელწოდებები და აღწერილობები დაკავშირებული იყოს საერთაშორისო ტერმინოლოგიასთან, მსოფლიო აღიარების და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობის მიზნით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	■	□	□	□

1.5. სასწავლო კურსი/საგანი
➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება და შინაარსი აჩვენებს პროგრესიას, საბაზისო ცოდნის დაუფლებიდან კომპლექსური პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებამდე, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერების შესაბამისად. სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რომლებიც დაყოფილია გაცნობის, გაღმავების ან განმტკიცების დონეების მიხედვით. სილაბუსები ასევე მოიცავს შესაბამის სწავლების და შეფასების მეთოდებს და სასწავლო მასალებს. დაბალანსებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, წარმოდგენილია კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სავალდებულო საგნები თანმიმდევრულ ბმაშია ფიზიკურ მედიცინაში, რეაბილიტაციაში, კლინიკურ შეფასებაში, ბიოსამედიცინო კვლევაში და პროფესიულ ეთიკაში. არჩევითი საგნები უზრუნველყოფს სპეციალიზაციის და პირადი აკადემიური ინტერესების განვითარების შესაძლებლობებს (მაგალითად, სპორტული კვება, მხედველობის დარღვევის რეაბილიტაცია, რეაბილიტაცია პედიატრიულ პოპულაციაში, სამედიცინო ტურიზმი). სასწავლო კურსებში კრედიტების განაწილება სათანადოდ ასახავს სამუშაო დატვირთვას და სირთულეს, ხოლო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან მიუთითებს სასწავლო გეგმის კარგად ჩამოყალიბებულ და გააზრებულ სტრუქტურაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო რესურსები შეესაბამება როგორც საგნების, ისე პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო მასალებში ასახულია უახლესი მიღწევები და კვლევის

ტენდენციები ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის დარგში და პერიოდულად ხორციელდება მათი განახლება თანამედროვე მეცნიერული სიახლეების ასახვის მიზნით. შერჩეული სახელმძღვანელოები, კლინიკური გზამკვლევები და სამეცნიერო სტატიები შეესაბამება თითოეული საგნის შინაარსს და სპეციფიკას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანამედროვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გადაცემას და პრაქტიკის პროცესში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან;
- ბიბლიოთეკის კატალოგი და მონაცემთა ბაზებზე წვდომის მტკიცებულება;
- თვითშეფასების ანგარიშის ნაწილი 1.5;
- დანართი 1.4.1 – სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულება ფლობდეს ინფორმაციას თანამედროვე ფიზიკური მედიცინის სფეროში არსებული უახლესი მიღწევების შესახებ, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის და რობოტიკის მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყოს თანამედროვე შინაარსი, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი რეაბილიტაციაში და ჯანმრთელობის ციფრული მონიტორინგი.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	x	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება - სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ - ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის დაშვების წინაპირობები და პროცედურებია:

- პირი, რომელიც ფლობს ბაკალავრის ხარისხს ან მის ეკვივალენტურ აკადემიურ კვალიფიკაციას უფლებამოსილია ჩაირიცხოს "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო პროგრამაზე.
- მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება (კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა) და კანონით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

- იმ შემთხვევაში თუ კანდიდატი გადალახავს ერთიანი სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ოთხი ნაწილიდან მინიმუმ სამში, უფლებამოსილი იქნება მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდებში.
- უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სპეციალობის და ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები.
- გამოცდა სპეციალობაში ტარდება ზეპირად.
- ინგლისურ ენის გამოცდა ტარდება ტესტირების მეშვეობით, რომლის მინიმალური ზღვარია 51%. ტესტირება არის B2 დონის.
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის (FCE, TOEFL, IELTS) წარმოდგენის შემთხვევაში, კანდიდატები გათავისუფლდებიან გამოცდისგან. ასევე, გამოცდისგან გათავისუფლდებიან ის კანდიდატები, რომლებსაც დასრულებული ექნებათ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.

ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N 224 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის" შესაბამისად. კერძოდ, ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების მოთხოვნისგან გათავისუფლება ნებადართულია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ უცხო ქვეყანაში და ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52 - ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

გ) სტუდენტებისთვის, რომლებიც ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში და სწავლობენ იმ ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საფეხურზე.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10 / ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" შესაბამისად.

შიდა მობილობით საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ვადები, პროცედურები და სხვა შესაბამისი დეტალები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და შიდა

მობილობის პროცედურის დაწყებამდე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში არ არის დაკონკრეტებული მოთხოვნილი ბაკალავრის ხარისხის სფეროები. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ შიდა საუნივერსიტეტო სპეციალობის გამოცდა წარმოადგენს აპლიკანტების გაფილტვრის მექანიზმს, ვინაიდან პირები, რომლებსაც არ აქვთ გამოცდილება ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში ვერ შეძლებენ გამოცდის ჩაბარებას. აღნიშნული მიდგომა განმცხადებლებს აძლევს არაპირდაპირ მიმართულებას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ მკაფიოდ მიუთითოს, ბაკალავრის ხარისხის სფეროები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს გამჭვირვალობა და დაეხმაროს პოტენციურ სტუდენტებს უკეთ შეაფასონ მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- ვებ - გვერდი.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პოტენციური სტუდენტებისთვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ბაკალავრის ხარისხის შესაბამისი სფეროების მითითებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	■	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და / ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი, ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის და ითვალისწინებს კვლევით ინიციატივებში მათ აქტიურ ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. აღნიშნული მიზანი მიიღწევა რამდენიმე ძირითადი მექანიზმით.

პროგრამის სტრუქტურა შედგება სასწავლო კურსების ფართო სპექტრისგან, რომლებიც თეორიულ სწავლებასთან ერთად მოიცავენ პრაქტიკულ საკონტაქტო საათებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები შეძლებენ თეორიული კონცეფციების პრაქტიკაში გამოიყენებას, რაც უზრუნველყოფს მათი ცოდნის განმტკიცებას და ხელს უწყობს როგორც სასწავლო კურსის, ისე პროგრამის მიზნების მიღწევას.

სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პროფესიული პრაქტიკა, რომელიც არის სავალდებულო, დარგის სპეციფიკური ელემენტი და მინიჭებული აქვს კრედიტი. პრაქტიკული კომპონენტი მხარდაჭერილია სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ფორმალური შეთანხმებებითა და მემორანდუმებით. აღნიშნული პარტნიორობა სტუდენტებს სასუალებას აძლევს გამოიყენონ აკადემიური მომზადების დროს მიღებული ცოდნა და უნარები რეალურ გარემოში. პრაქტიკის ფარგლებში მიღებული გამოცდილება სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოასწორონ თეორიულ ცოდნაში და კლინიკურ გამოყენებას შორის არსებული ხარვეზი, დახვეწონ პროფესიული უნარები და გააძლიერონ სამომავლო კარიერული შესაძლებლობები.

პროფესიული პრაქტიკის მოდულს მინიჭებული აქვს 15 კრედიტი და შექმნილია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობისთვის. აღნიშნული ასევე ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ გარემოში ადაპტაციას. სტაჟირების პერიოდში სტუდენტების ორმაგ ხელმძღვანელობას უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის კვალიფიციური აკადემიური მენტორი და პარტნიორი ორგანიზაციის პრაქტიკის ობიექტის მენტორი. ხელმძღვანელები აკვირდებიან სტუდენტის პროგრესს და აფასებენ მის მოსწრებას.

პროგრამა ფოკუსირებულია კვლევასა და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. აღნიშნული ძალისხმევის მთავარი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომის დასრულება,

რომელსაც ენიჭება 15 კრედიტი. ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტები უფლებამოსილი არიან დაიწყონ სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობა. დაცვამდე ნაშრომი დადებითად უნდა შეფასდეს აკადემიური ხელმძღვანელის და დამოუკიდებელი რეცენზენტის მიერ. სამაგისტრო ნაშრომების თემა ერთობლივად არის შერჩეული სტუდენტის და ხელმძღვანელის მიერ და ბოლო სემესტრის პირველ კვირაში მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. პროგრამის ხელმძღვანელი ზედამხედველობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ტექნიკურ ასპექტებს.

აღნიშნული პროცესი აძლიერებს სტუდენტების მიერ დამოუკიდებელი აკადემიური კვლევის ჩატარების უნარს და წარმოადგენს სამომავლო სამეცნიერო საქმიანობის, მათ შორის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საფუძველს. გარდა ამისა, სასწავლო გეგმის ძირითად და არჩევით კურსებში გათვალისწინებული აკადემიური დავალებები ხელს უწყობსსტუდენტების კვლევითი კომპეტენციის განვითარებას. აღნიშნული მოიცავს აბსტრაქტების, ესეების და პროექტის პრეზენტაციების მომზადებას, განსაკუთრებით შუალედური შეფასებების დროს.

პროგრამა სტრატეგიულად აერთიანებს კვლევას კლინიკურ გამოცდილებასთან, რომ სტუდენტებს შესთავაზოს კარიერული შესაძლებლობების ფართო სპექტრი და დარგის ყოვლისმომცველი გაგება. კვლევით საქმიანობაში სტუდენტების მონაწილეობა მხარდაჭერილია უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის სამსახურის მიერ, რომელიც ყოველწლიურად ატარებს სასწავლო ვორქშოფებს ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა პლაგიატის პრევენცია, აკადემიური კეთილსინდისიერება და სამეცნიერო გამოქვეყნება. აღნიშნულ შეხვედრებში რეგულარულად მონაწილეობენ მაგისტრატურის სტუდენტები.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების კონფერენციას, სადაც სტუდენტები წარადგენენ თავიანთ კვლევის შედეგებს. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების წახალისებას და მხარდაჭერას, როგორც აკადემიურად, ისე ლოგისტიკურად, დაესწრონ სხვა უნივერსიტეტების მიერ მოწყობილ კონფერენციებს. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტი, "კვლევითი საქმიანობის წახალისების, მხარდაჭერის და დაფინანსების წესის" მეშვეობით, უზრუნველყოფს სტუდენტებს ინსტიტუციური ხელმძღვანელობით და ფინანსური დახმარებით.

სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების განმტკიცების მიზნით, უნივერსიტეტი მიზნობრივად აფინანსებს სტუდენტების ინიციატივებს, სემინარებს და ვორქშოფებს. მაგალითად, მიმდინარე აკადემიურ წელს, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სამმა სტუდენტმა მიიღო ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისთვის, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მიდგომას, რომ ხელი შეუწყოს კვლევაზე ორიენტირებული აკადემიურ გარემოს შექმნას.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც მზად არიან უზრუნველყონ სტაჟირება და სტუდენტებთან და

კურსდამთავრებულებთან რელევანტურ თემებზე ჩაატარონ საინფორმაციო შეხვედრები და თემატური სემინარები. აღნიშნული მრავალმხრივი მხარდაჭერა ხელს უწყობს პრაქტიკული სწავლებით სტუდენტების პროფესიულ პრაქტიკაში გადასვლას და მათი კომპეტენციების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- გასაუბრების შედეგები;
- ვებ - გვერდი;
- მემორანდუმები;
- ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	■	□	□	□

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებული ძირითადი სწავლება-სწავლის მეთოდებია ლექციები, სემინარები, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პრაქტიკული სესიები და ჯგუფური მუშაობა. ეს მიდგომები შექმნილია სტუდენტების აქტიური მონაწილეობის მხარდასაჭერად, თანამშრომლობითი სწავლების ხელშესაწყობად და როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული კომპეტენციების შესაძენად.

პროგრამის ფარგლებში, ინდივიდუალურ სასწავლო კურსებში გამოყენებულია სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც მორგებულია თითოეული კურსის შინაარსსა და მიზნებზე, როგორც ეს დეტალურად არის აღწერილი შესაბამის სასწავლო გეგმებში. ესენია ინტერაქტიული და სტუდენტზე ორიენტირებული ტექნიკები, როგორიცაა დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, სტუდენტური პრეზენტაციები, ანალიტიკური სავარჯიშოები, შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა (CBCR), შემთხვევაზე დაფუძნებული განხილვა (CBD), შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება (WPBA), როლური თამაში და კლინიკური შემთხვევის ანალიზი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოქნილია და სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზეა მორგებულია. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ კონკრეტული აკადემიური მიზნები, სწავლის სტილი ან მზაობის დონე. ეს მოქნილობა ხელს უწყობს დიფერენცირებულ სწავლებას და ზრდის სტუდენტთა წარმატებას.

პროგრამის ფარგლებში, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საერთაშორისო სტუდენტების კულტურულ წარმომავლობას, მათ ენობრივ საჭიროებებს და საგანმანათლებლო მოლოდინებს. სწავლებისა და შეფასების მეთოდები საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად და თანაბარი მონაწილეობის მხარდასაჭერად.

გარდა ამისა, დაწესებულება მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, დანერგოს ელექტრონული და დისტანციური სწავლების ფორმატები. ეს მეთოდები შექმნილიაიმისათვის, რომ სრულად შეესაბამებოდეს პროგრამის მიერ დასახულ სასწავლო შედეგებს და შეინარჩუნოს დარგის აკადემიური მთლიანობა და პრაქტიკული კომპონენტი. ციფრული ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენება უზრუნველყოფს, სტუდენტების მიერ განათლების მიღებას პროგრამის მიზნების შესაბამისად.

ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა პედაგოგიური მიდგომების თვალსაზრისით კარგად არის სტრუქტურირებული, გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა ლექტორი არ იცნობდა თანამედროვე სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

გამომდინარე აქედან, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამატებითი ტრენინგები და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, თანამედროვე პედაგოგიკისა და შეფასების ტექნიკის მიმართულებით პერსონალის კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

> რეკომენდებულია, ფაკულტეტის განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებისა და შეფასების სტრატეგიების მიმართულებით დამატებითი ტრენინგის შეთავაზებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	■	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის

შესაბამისად, რაც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებას.

ინსტრუქცია მოიცავს როგორც საგანმანათლებლო კომპონენტის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასების მექანიზმებს. წარმოდგენილი წესებითა და დებულებებით გათვალისწინებული შეფასების სისტემა და პროცედურები აღწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტებისთვის ცნობილია შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები. მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები ასევე იღებენ ელექტრონული სისტემის საშუალებით. ისინი ფლობენ ინფორმაციას შედეგების გასაჩივრების შესახებ. თუკი სტუდენტები არ არიან კმაყოფილნი მიღებული შეფასებებით ან გამოხმაურებით, მათ აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ თავიანთი შეფასება. სტუდენტის ნაშრომის განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, იქმნება სააპელაციო კომისია.

კურსების შეფასების სისტემა (მინისტრის #3 ბრძანების შესაბამისად), რომლის მიხედვითაც სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სკალით, ითვალისწინებს ხუთი ტიპის დადებით და ორი ტიპის უარყოფით შეფასებას.

შეფასების სისტემა მოიცავს დადებითი შეფასების ხუთ ტიპს:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

(E) საკმარისი - 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა ასევე ითვალისწინებს უარყოფითი შეფასების ორ ტიპს:

(FX) ჩაიჭრა – 41-50 ქულა.

(F) ჩაიჭრა– 40 ქულა ან ნაკლები.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად წარდგენილი ნაშრომის შევსების ინსტრუქცია. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება კომისიური წესითა და 100-ქულიანი შეფასების სისტემით, რომელიც ასევე მოიცავს ხუთი ტიპის დადებით და ორ ტიპის უარყოფით შეფასებას.

სამაგისტრო ნაშრომი დასრულებულად ითვლება, თუ ის 51 ან მეტი ქულით შეფასდება. იმ შემთხვევაში თუკი ნაშრომი შეფასდება 41-50 ქულით, სტუდენტს შეუძლია მომდევნო სემესტრში გადამუშავებული ვერსია წარადგინოს. მეორე მხრივ, ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს უფლებას, დაიცვას ის კონკრეტული ნაშრომი და შესაძლებლობა ეძლევა შესაბამისი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების გათვალისწინებით ახალი თემა აირჩიოს კომისიის წინაშე დასაცავად,.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აანალიზებს სტუდენტების შეფასების შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“
- სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება:	■	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შესაბამის ინფორმაციას იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შესახებ, რაც ვებგვერდისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ხორციელდება. ამგვარად ყველა სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა თვალი ადევნოს საკუთარ მიღწევებს სწავლის მიმართულებით, ასევე, ჰქონდეს კომუნიკაცია ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ლექტორებთან.

სპორტის უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის მოქმედებს ელექტრონული სასწავლო პროცესის მართვის მრავალფუნქციური სისტემა (START), როგორიცაა: პირადი ინფორმაცია, სემესტრი; GPI, დაგროვილი და მიმდინარე კრედიტების რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები, რომლებიც დადასტურებულია სტუდენტების მიერ. მაგისტრატურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, რომელიც მორგებულია მათ კონკრეტულ საჭიროებებზე. ამის ხელშესაწყობად, საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერესიტეტმა შეიმუშავა „სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესები“.

სტუდენტებთან გასაუბრებამ ასევე ცხადყონ რომ სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლებისგან, მაგალითად, დეკანის ოფისიდან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელისგან, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისგან, იღებენ შესაბამის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტების სოციალურ მხარდაჭერას პრიორიტეტს ანიჭებს, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემის დანერგვით. უნივერსიტეტი თანამშრომლობს სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდთან, რომელიც ყოველწლიურად აფინანსებს სწავლის საფასურს.

სტუდენტებს ასევეშესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და სხვა სახის ექსტაკურიკულურ აქტივობებში. სტუდენტებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ერთი სტუდენტი Erasmus+ პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა ლიეტუვაში, თუმცა სტუდენტების

სურვილია მეტი შესაძლებლობა მიეცეთ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში/სემინარებსა/ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად.
სტუდენტებთან გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს გასაჩივრების პროცედურები, სასწავლო პროცესთან შეუსაბამო შემთხვევებისთვის.
გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში სურთ პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	■	□	□	□

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრატურის დებულების შესაბამისად, მაგისტრატურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე, მოწვეული პროფესიონალი, რომელსაც აქვს ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, სტუდენტის კვლევითი სფეროს მიმართულებით.
მაგისტრანტის ხელმძღვანელი ყველა საკითხს წყვეტს მაგისტრანტ სტუდენტთან შეთანხმებით, მათ შორის სამუშაო გეგმას, სადაც მითითებულიამაგისტრატურის ნაშრომის სათაური, სავალდებულო საგნების/მოდულების სია. პროგრამის ხელმძღვანელი რეგულარულად მართავს კონსულტაციებს მაგისტრანტ სტუდენტთან კვლევის თემის ირგვლივ.
უსდ-ში არსებული სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს, რომ არცერთ აკადემიურ პირს არ შეუძლია ერთ სემესტრში ორზე მეტი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისა და ხელმძღვანელის ეფექტურ თანაფარდობას და ხელს უწყობს სათანადო აკადემიურ ხელმძღვანელობას.
სამაგისტრო პროგრამას ემსახურება 19 თანამშრომელი, 9 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 10 მოწვეული ლექტორი. მაგისტრატურის პროგრამების მომზადების პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
ყოველწლიურად, უნივერსიტეტი აცხადებს დაახლოებით 5-6 ვაკანსიას ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამაზე. შესაბამისად, დისერტაციის ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა 19/12-ზეა. სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომს მეოთხე სემესტრში ასრულებენ და ეს თანაფარდობა ორივე წელს სტუდენტების რაოდენობიდან არის აღებული.

პროგრამების ხელმძღვანელს აქვს მრავალწლიანი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი რეგულარულად მართავს კონსულტაციებს მაგისტრანტებთან, რაც ითვალისწინებს სამეცნიერო პროგრესის პერიოდულ შეფასებას და რჩევების მიცემას.

მაგისტრატურის/დოქტორანტურის სტუდენტების ზედამხეველობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**19**
მაგისტრანტების/დოქტორანტებ ი ს რაოდენობა	**12**
თანაფარდობა	**19/12**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო პროგრამა
- უნივერსიტეტის რეგულაციები
- სასწავლო კურსები და სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები
- ხელმძღვანელების რეზიუმე და კვლევითი პუბლიკაციები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	■	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი ადამიანური რესურსები - როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული - შეესაბამება შესაბამის სტანდარტებს. აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენციები კარგად არის დოკუმენტირებული და შესაბამისად დამოწმებული.

გარდა ამისა, დაქირავების, შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განაწილებისა და აფილირების პროცესები გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმების მეშვეობით ხორციელდება, რაც ინსტიტუციური მარეგულირებელი ჩარჩოებით რეგულირდება.

პროგრამას აქვს ადეკვატური და პროპორციული საშტატო მოდელი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მკაფიოდ განსაზღვრული როლებითა და პასუხისმგებლობებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია, ასევე, დადასტურებული პროფესიული გამოცდილება და დარგობრივი ჩართულობა.

გარდა ამისა, პროგრამა მოიცავს ინდივიდუალურ აკადემიურ მხარდაჭერას და დაგეგმილ საკონსულტაციო საათებს სტუდენტების სწავლისა და ჩართულობის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, პროგრამის ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობა როგორც აკადემიურ, ასევე პრაქტიკულ სფეროებში, მათ შორის, მისი პირდაპირი ჩართულობა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ პროექტებში. ეს ორმაგი ჩართულობა, ეფექტური და

ხარისხზე ორიენტირებული განხორციელების მიმართულებით, მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამას.

თუმცა, რამდენიმე ტექნიკური ასპექტი საყურადღებოა. დოკუმენტაციაში უნდა იყოს ტერმინოლოგიური თანმიმდევრულობა უზრუნველყოფილი - კერძოდ, ისეთი ტერმინების ურთიერთშემცვლელმა გამოყენებამ, როგორიცაა „პროგრამის ხელმძღვანელი“ და „უფროსი“, შესაძლოა გამოიწვიოს ბუნდოვანება და უნდა იყოს სტანდარტიზებული. გარდა ამისა, არსებული დოკუმენტაცია ნათლად არ განსაზღვრავს ახლად დანიშნული პერსონალის დაქირავების, სამსახურში მიღების ან პროფესიული განვითარების პროცედურებს. აღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოში არსებულ ხარვეზს წარმოადგენს და უნდა მოგვარდეს, რათა შენარჩუნებულ იქნას პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**19**	**16**	**7**	**10**
- პროფესორი	3	2	2	3
- ასოცირებული პროფესორი	7	5	5	7
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	9	9		_
სამეცნიერო პერსონალი	10	7		_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრების შედეგები
- 4. დანართი 1.4.1 საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ თანდართული სასწავლო გეგმები

[5]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- დანართი 4.1.1 პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის, პერსონალური მონაცემები (CV) და კვალიფიკაციის დოკუმენტები (დიპლომები);
- დანართი 4.1.2 უნივერსიტეტის ორგანიზაციული სქემა, სტრუქტურა
- დანართი 4.1.3 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- დანართი 4.1.4 აფილირების წესი;
- დანართი 4.1.5 განმახორციელებელ პერსონალთან ხელმოწერილი ხელშეკრულების ნიმუში;
- დანართი 4.1.6 აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვა;
- დანართი 1.3.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შემუშავების მეთოდოლოგიისა და გაუქმების პროცედურა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, გაუმჯობესდეს დოკუმენტაციის სტრუქტურული თანხვედრა (მაგალითად, ისეთი ტერმინების სტანდარტიზაცია როგორიცაა "პროგრამის ლიდერი" და "პროგრამის ხელმძღვანელი") და გრძელი სახელწოდებები მითითებული იყოს დანართებში.

სასურველია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის ახალი პერსონალის ადაპტაციის მექანიზმები, უწყვეტი პროფესიული მომზადება და შესრულების შეფასების შედეგებთან დაკავშირებული წახალისების სისტემები.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსი	■	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური მრჩევლები, რომელთაც აქვთ შესაბამისი აკადემიური და კვლევითი გამოცდილება. მრჩევლები აკმაყოფილებენ სტუდენტების, თეზისებისა და კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობისთვის საჭირო კვალიფიკაციას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ნაშრომის ხელმძღვანელების შერჩევის მკაფიო და განსაზღვრული კრიტერიუმები. კრიტერიუმების მიხედვით, მათ უნდა ჰქონდეთ მინიმუმ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და დადასტურებული კვლევითი კომპეტენცია, რაც გამყარებულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პუბლიკაციებით, კვლევითი აქტივობებით ან აკადემიური წვლილით.

უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს, რომ ყველა მრჩეველს ჰქონდეს საჭირო აკადემიური, კლინიკური და პრაქტიკული გამოცდილება, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სპორტული მეცნიერება და რეაბილიტაცია. შიდა აკადემიური პერსონალისა და გარე ექსპერტების ჩართულობა უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა ხელმძღვანელობის პროცესის სტრუქტურირებას.

დაწესებულების თვითშეფასების საფუძველზე, კონსულტირებისა და მენტორობის მიზნით როგორც აკადემიური, ასევე, კვლევაზე ორიენტირებული პროფესიონალების ჩართვა, შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. მრჩევლები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო რესურსებითა და ინფრასტრუქტურით, რაც მოიცავს აკადემიურ მომზადებას და წვდომას სამეცნიერო ლიტერატურაზე. სასურველი იქნებოდა ბოლო წლებში წარმატებით დაცული ნაშრომების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შემუშავება, რაც გააძლიერებდა მტკიცებულებების ბაზას და პროგრამის აკადემიური შედეგების შესახებ უფრო ნათელ სურათს შექმნიდა. ასევე, დისერტაციის ხელმძღვანელობის ხარისხთან დაკავშირებით სტუდენტების შეჯამებული უკუკავშირის დანერგვა, ხელს შეუწყობს უწყვეტი გაუმჯობესების ეფექტური მექანიზმის დემონსტრირებას და ასახავს სტუდენტის რეაგირების უნარს.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**5**	**5**	**5**
- პროფესორი	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3

- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრების შედეგები
- დანართი 4.1.1 პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პერსონალური მონაცემები (CV);
- დანართი 4.1.3 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- დანართი 2.2.1 სამაგისტრო ნაშრომის შევსების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	■	□	□	□

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მოწოდებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება სისტემატურად აფასებს და მხარს უჭერს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, რაც სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

არსებობს სტრუქტურირებული და უწყვეტი პერსონალის შეფასების პროცესი, რომელსაც კოორდინაციას უწევენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების დეპარტამენტი და სამეცნიერო კვლევების ოფისი. ეს შეფასებები ითვალისწინებს როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო საქმიანობას და იწვევს ისეთ ქმედით შედეგებს, როგორიცაა პერსონალის წახალისება, განმავითარებელი უკუკავშირი და პროგრამის გაუმჯობესება. შედეგები ზიარდება პერსონალის ცალკეულ წევრებთან, პროგრამისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და გამოიყენება სტრატეგიული დაგეგმვისა და შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

აღსანიშნავი ძლიერი მხარეა კოლეგიალური დაკვირვების გამოყენება განმავითარებელი შეფასებისთვის, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, დაწესებულებამ შეიმუშავა კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პროდუქტიულობის შესაფასებელი კრიტერიუმები.

სამეცნიერო განვითარება უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტია, რასაც ადასტურებს:

- სტუდენტებისა და პერსონალისთვის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციები;
- ისეთი მაღალი დონის საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძლობა, როგორიცაა სპორტული მეცნიერების მსოფლიო ფორუმი;
- აქტიური კვლევის მხარდაჭერის სტრუქტურები და მიმდინარე სასწავლო სესიები ისეთ თემებზე, როგორიცაა აკადემიური კეთილსინდისიერება და სამეცნიერო წერა;
- Erasmus+-ს და მსგავს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა პერსონალის მობილობისა და გლობალური თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

მნიშვნელოვანი ძალისხმევა ასევე მიმართულია პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებისკენ, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ გარემოში.

სტუდენტების მიერ აკადემიური პერსონალისა და ინსტრუქტორების შეფასებები სისტემატურად გროვდება ყოველ სემესტრში, თუმცა გამოვლინდა სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებული სირთულეები. დაწესებულება აქტიურად ეხმიანება ამ საკითხს ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარებით და შეფასების ინსტრუმენტების დიზაინის გაუმჯობესებით, უკეთესი შიდა და გარე ვალიდურობის უზრუნველსაყოფად.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტი ავლენს ძლიერ სწრაფვას თავისი სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართ, აერთიანებს სტრუქტურირებულ

შეფასების მექანიზმებს, ტრენინგის შესაძლებლობებსა და ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრების შედეგები
- დანართი 4.3.1 კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები
- დანართი 4.3.2: სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ანგარიში
- დანართი 4.3.3: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში
- დანართი 4.3.4: აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების კრიტერიუმები
- დანართი 4.3.5: აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა
- დანართი 4.3.6: სამუშაოთი კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი
- Appendix 4.3.7: პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემების შემუშავების მეთოდოლოგია
- დანართი 4.3.8: ლექციაზე დაკვირვების ფორმა
- დანართი 4.3.9: პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- დანართი 4.3.10: ადამიანური რესურსების მართვის დებულებების ჩარჩო

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	■	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები, მათ შორის თანამედროვე ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო რესურსები და ტექნიკური აღჭურვილობა, რომლებიც აუცილებელია პროგრამის სასწავლო შედეგების მისაღწევად. ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს სხვადასხვა ტექნოლოგიურ რესურსზე, მათ შორის 45 კომპიუტერზე, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, 17 პრინტერზე, 15 ლეპტოპზე, 8 პროექტორსა და 1 დიდი მოცულობის ქსეროქსის აპარატზე.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას საჭირო ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებზე, მათ შორის უახლეს სამეცნიერო ჟურნალებსა და მონაცემთა ბაზებზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ სწავლასთან დაკავშირებული უახლესი ინფორმაცია. სტუდენტებს აქვთ წვდომა დარგობრივ ლიტერატურასთან როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საერთაშორისო დონის ცოდნის მიღებას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა სახელმწიფოსგან დამატებით ახალი შენობა მიიღო, რომელშიც ბიბლიოთეკა განთავსდება. ფაქტობრივად, ვიზიტის დროს უკვე მიმდინარეობდა შესაბამისი პროცესები. გარდა ამისა, ამ ეტაპზე უნივერსიტეტი რამდენიმე შენობაში ფუნქციონირებს და სრულად აკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებს.

უნივერსიტეტს ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი და გარემონტდა ლაბორატორიები, ხოლო სიმულაციური ოთახები აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით. ეს რესურსები, მათ შორის კომპიუტერები, პრინტერები და პროექტორები, მუდმივად ახლდება, რაც ხელს უწყობს როგორც აკადემიურ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს სიმულაციური ოთახები და აღჭურვილობა პრაქტიკული დისციპლინებისთვის, როგორიცაა რეაბილიტაცია და ფიზიკური თერაპია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებისთვის საჭირო პრაქტიკულ გამოცდილებას.

უნივერსიტეტმა ხელშეკრულებები გააფორმა პრაქტიკის დაწესებულებებთან, რომელთაგან ერთ-ერთი ფაქტიურად მეზობელ შენობაშია განთავსებული. სასურველია, პროგრამის მზარდი მოთხოვნების შესაბამისად, ინფრასტრუქტურისგაფართოება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრების შედეგები

- ადგილზე ვიზიტი;
- დანართი 4.4.1: საგანმანათლებლო უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- დანართი 4.4.2: ბიბლიოთეკის ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება.
- კომპიუტერული ლაბორატორიები და სასწავლო სივრცეები საგანმანათლებლო უნივერსიტეტში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	■	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

პროგრამის ბიუჯეტი დეტალურად გაწერილია და შეესაბამება პროგრამის საგანმანათლებლო საჭიროებებს. პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები ეკონომიკურად გამართლებულია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების ეფექტურად მიღწევას. უნივერსიტეტი ბიუჯეტის მომზადების პროცესს კოორდინირებს ადმინისტრაციის მეშვეობით, ასევე, დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით. ეს ინკლუზიური მიდგომა საშუალებას იძლევა, ყოვლისმომცველი განხილვის შედეგად, გათვალისწინებულ იქნას ფაკულტეტის, დეპარტამენტებისა და ინდივიდუალური პროგრამების საჭიროებები და მოთხოვნები.

პროგრამის ბიუჯეტის შექმნის პროცესში მონაწილეობენ ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის დირექტორი. ისინი ერთად აფასებენ პროგრამის საჭიროებებს, პრიორიტიზებას უკეთებენ ხარჯებს და უზრუნველყოფენ საკმარისი ფინანსური რესურსების გამოყოფას. ბიუჯეტი ასევე

ითვალისწინებს პროგრამისთვის დაგეგმილ შემოსავლებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის აქტივობების მდგრად განხორციელებას.

უნივერსიტეტმა ასევე დაგეგმა სტუდენტების ჩარიცხვის სამომავლო ზრდა, რაც პროგრამაზე მიღებული სტუდენტების რაოდენობის ზრდას გამოიწვევს. მოსალოდნელია, რომ ეს ზრდა პროგრამას ფინანსურად უფრო მდგრადს გახდის.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრატურის პროგრამაზე სტუდენტების შედარებით დაბალი რაოდენობის მიუხედავად, პროგრამა უნივერსიტეტისთვის კვლავ პრიორიტეტულია. მისი ადმინისტრირებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები უზრუნველყოფილია, კანონით დაშვებული დამატებითი შემოსავლის წყაროებიდან. ეს სტრატეგიული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას, მაშინაც კი, როდესაც სტუდენტების რაოდენობა მცირეა.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა, როგორც ეკონომიკურად მიღწევადია, ასევე შეესაბამება პროგრამის საგანმანათლებლო და ოპერატიულ საჭიროებებს. უნივერსიტეტი ზრუნავს ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაზე პროგრამის ხელმისაწვდომობის და გავლენის გაუმჯობესებასთან ერთად..

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრების შედეგები
- დანართი 4.5.1 ფინანსებისა და შესყიდვების დეპარტამენტის დებულება;
- დანართი 4.5.2 პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	**მოთხოვნებთან**	**მოთხოვნებთან**
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	■	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა მუშაობის ძირითადი სფერო მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას. ეს პოლიტიკა და პროცედურები ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონს და უმაღლესი განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალი ეფექტურად იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესრულებული ფუნქციები — მათ შორის პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები — ზედმიწევნით არის აღწერილი უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასა და პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურებში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის შეფასების პროცესი მოიცავს რამდენიმე კრიტიკულ სფეროს, როგორიცაა საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ორგანიზება, განხორციელება და მართვა; საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირები; და ამ საქმიანობის მხარდამჭერი რესურსები, მათ შორის ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.
მოწოდებული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აფასებს ამ კომპონენტებს, შესაბამისი ინტერვალებით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ეფუძნება „PDCA“ ციკლს (დაგეგმვა - განხორციელება - შემოწმება - მოქმედება), რაც უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას.
ამ ციკლურ შეფასებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვაში ყველა შესაბამისი ერთეულის აქტიური ჩართულობა. ჩატარებული კვლევები საფუძვლიანად არის გაანალიზებული და შედეგები, საჭირო რეაგირებასთან ერთად, აისახება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებულ ანგარიშებში და წარდგენილია გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურულ ერთეულებში.
პროგრამის შეფასების პროცესში, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების განსახორციელებლად რეგულარულად იმართება შეხვედრები. შიდა შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპია კვლევის შედეგების ანალიზი, რომლის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს SWOT ანალიზი.
პროგრამის შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება განპირობებულია სტუდენტების კმაყოფილებისა და კურსდამთავრებულთა გამოხმაურების შესახებ ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით, რაც ხელს უწყობს პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას.
სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი აკვირდება და აფასებს საგანმანათლებლო პროცესს. უწყვეტი გაუმჯობესების მხარდასაჭერად, უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს კოლეგებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ფაკულტეტის

წევრები პერიოდულად უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებასა და მეთოდოლოგიებს.
აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან პროგრამის ხარისხის შეფასების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების მიზნით.
გარდა ამისა, გასაუბრებამ აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინფორმირებულია გამოკითხვის შედეგების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში აქტიურად ზრუნავს გაუმჯობესების საკითხებზე. უსდ-ს აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რომლის მეშვეობითაც პერსონალის მუშაობა ფასდება სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით. თუმცა, უნივერსიტეტისთვის სასარგებლო იქნებოდა დამატებითი მექანიზმების შექმნა აკადემიური პერსონალის შემდგომი წახალისებისა და სტიმულირების მიზნით. ამ შეფასებების შედეგები გამოიყენება პროგრამაში პერსონალის მოტივაციისა ამაღლებისა და განვითარების მიზნით. აკადემიური პერსონალის წახალისება უნდა შეესაბამებოდეს სტრუქტურირებულ ფინანსურ ჯილდოს სისტემას, რათა ხელი შეუწყოს მოტივაციას და მუშაობის ეფექტურობას.
აკრედიტაციის ვიზიტის დროს გამოიკვეთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში.
დასკვნის სახით, წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის თეორიული საფუძვლები სრულად შეესაბამება შესაბამის სტანდარტებს და ამ დოკუმენტების შესაბამისად ჩატარებული პროცედურები გამჭვირვალე და თანმიმდევრულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებები
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასებების შედეგების ანალიზი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი
- სტუდენტური გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- ჩატარებული გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	■	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება ეროვნულ სტანდარტებს, ასევე უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და მისიას.

წარმატებული აკრედიტაციის უზრუნველსაყოფად საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი გარე შეფასების ინსტრუმენტებს იყენებს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესის კრიტიკულ კომპონენტს. ამ მიზნით უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ეს პროგრამა შეფასდა ავტორიზაციის პროცესში და ახლა პირველად არის წარდგენილი აკრედიტაციისთვის.

აკრედიტაციის პროცესის გარდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ) უზრუნველყოფს მისი საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველ შეფასებაში გარე ექსპერტების მუდმივ ჩართულობას. პროგრამას გარე შეფასება ჩაუტარდა ადგილობრივი და საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ, რომლებიც შეირჩნენ მათი მიუკერძოებლობისა და შესაბამისი დარგობრივი გამოცდილების საფუძველზე.

ამ გარე შემფასებლების მიერ მოწოდებული რეკომენდაციები ყურადღებით იქნა განხილული და გათვალისწინებული პროგრამის მიმდინარე განვითარების პროცესში. ამ გარე უკუკავშირმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პროგრამის დახვეწაში, რათა ის უფრო მეტად შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას.

პროგრამის გარე შეფასების მიზნით, უნივერსიტეტი ასევე მონაწილეობს პროგრამის შეფასებებში, რომლებსაც ატარებენ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დარგის სპეციალისტები და დამსაქმებლები.

გარე შეფასების შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, პროგრამის საბოლოო ვერსია წარედგინა დაინტერესებულ მხარეებს. მათგან დადებითი გამოხმაურება იქნა მიღებული, რაც

ადასტურებს, რომ პროგრამა შეესაბამება ინდუსტრიის საჭიროებებსა და სტანდარტებს. ეს დასკვნები დადასტურდა აკრედიტაციის ვიზიტის დროს დამსაქმებლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე ექსპერტების შეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასებების შედეგების ანალიზი
- ჩატარებული გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	■	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება გულისხმობს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და

დამხმარე პერსონალის, ასევე სტუდენტების, პროგრამის კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას. ეს პროცესი ემყარება მონაცემთა სისტემატურ შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს.

როგორც ქვესტანდარტში 5.1 არის ასახული, პროგრამის შეფასება მოიცავს ინდიკატორების ფართო სპექტრს, მათ შორის სტუდენტების აკადემიურ მიღწევებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს, პროგრამებზე მოთხოვნას და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებსა და უკუკავშირს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი სისტემატურად აგროვებს და აანალიზებს სტატისტიკურ ინფორმაციას და იყენებს უკუკავშირის მექანიზმებსა და ინფორმაციის გაზიარების პროცესებს, რათა გამოავლინოს და მოაგვაროს შეფასებების დროს გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში.
უნივერსიტეტი ასევე დიდ ყურადღებას აქცევს თავისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაოს შესრულების შეფასებას. არსებობს შესაბამისი დოკუმენტიც, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცედურები და განსაზღვრულია როგორც პროფესიული ზრდის, ასევე, აკადემიური მიღწევების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.
ყოველწლიურად, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები წარადგენენ ანგარიშებს, სადაც აღწერილია მათი სასწავლო, პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომლებიც გამოიყენება მათი სარეიტინგო ქულების გამოსათვლელად. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს თვითშეფასების ანგარიშები. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში, განსაზღვრული ინტერვალებით, აკადემიური პერსონალი აფასებს სწავლებას კოლეგების ლექციებზე დასწრებით, რაც მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

როგორც აღინიშნა 5.1 ნაწილში, უნივერსიტეტისთვის სასარგებლო იქნებოდა დამატებითი მექანიზმების დანერგვა აკადემიური პერსონალის უკეთ წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით. ამ შეფასებების შედეგები პირდაპირ უნდა იქნას გამოყენებული პროგრამის შემუშავებასა და პერსონალის განვითარებაზე. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის წახალისების ზომები უნდა იყოს დაკავშირებული სტრუქტურირებულ ფინანსურ ჯილდოს სისტემასთან, რათა გაიზარდოს მოტივაცია და საერთო შესრულება.

თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროგრამა პერიოდულად დარდება სხვა უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ მსგავს პროგრამებთან. ყოვლისმომცველი მონიტორინგის ინდიკატორებისა და პროგრამის შედეგების გამოყენებით, პროგრამის ეფექტურობა რეგულარულად ფასდება და, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება ცვლილებები და შემდგომი გაუმჯობესება. გარდა ამისა, მიმდინარე აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო კონკრეტული პროგრამის საორიენტაციო დოკუმენტი.
როგორც ადრე აღვნიშნეთ, პროგრამა ფასდება როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების

გეგმა, რომელშიც მონაწილეობდა განმახორციელებელი პერსონალი. ეს გეგმა ითვალისწინებს თითოეული სასწავლო შედეგის შეფასებას, როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი შეფასების მიდგომებით. პირდაპირი შეფასების ინსტრუმენტები შედგება თითოეული სასწავლო კურსის კონტექსტში კონკრეტული შეფასების მეთოდებისთვის დადგენილი სამიზნე ინდიკატორებისგან, ხოლო არაპირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს კურსდამთავრებულთა თვითშეფასებებს, პრაქტიკის მენტორების მიერ კითხვარების მეშვეობით ჩატარებულ ჯგუფურ შეფასებებს და სხვა დაკავშირებულ ინსტრუმენტებს.

პროგრამის პერიოდული შეფასებისთვის დადგენილია შესაბამისი ვადები. მაგალითად, ამ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა სამწლიან პერიოდზეა სტრუქტურირებული. ამ ჩარჩოში, პირდაპირი შეფასება ტარდება შესაბამისი სასწავლო შედეგების მიღწევისთანავე, ხოლო რამდენიმე შედეგის არაპირდაპირი შეფასება დაგეგმილია პროგრამის ციკლის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ. ამის მაგალითია პროგრამის კურსდამთავრებულის შეფასება დამსაქმებლის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- გამოკითხვის ფორმები და ჩატარებული გამოკითხვები
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	■	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია, უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	■	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	■	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან	■	☐	☐	☐

ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■	□	□	□
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■	□	□	□